ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-12/14227555-16

" 08 " 09 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი, კვარტალი V, ქუჩა სანდრო ეულის, N5/ქალაქი თბილისი, ქუჩა ჯიქია, N10-ში (ნაკვეთი N7/31) (საკ. კოდი 01.14.05.007.134) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1143860 26.02.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი, კვარტალი V, ქუჩა სანდრო ეულის, N5/ქალაქი თბილისი, ქუჩა ჯიქია, N10-ში (ნაკვეთი N7/31) (საკ. კოდი 01.14.05.007.134) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

შენობის ფასადებზე შეცვლილია და გადაადგილებულია წყალმიმღები მილები. +15.90 ნიშნულზე შეცვლილია საჩრდილობლების (ტენტის) ფერი და მათ ქვეშ განთავსებულია ლითონის ელემენტები. შეცვლილია მოაჯირების ნახატი. +15.90 ნიშნულზე კედლებზე ქვიშა-ცემენტის ნაშხეფის ნაცვლად მოწყობილია შელესვა-შელებვა, ხოლო "B-C" მონაკვეთში კედლის ნაწილი შესაღებია. სახურავზე გამწოვები და სამერცხლის გვერდები მოპირკეთებულია თუნუქის ფურცლებით და შეცვლილია მათი გადახურვა, ასევე შეცვლილია სამერცხლის გადახურვის დახრის კუთხე. (აღნიშნული სამერცხლე შესამინია). შენობის გარშემო შეცვლილია დონეები. ღიობების გარშემო მოწყობილია ფილებით მოპირკეთება.

1-6 ფასადზე +3.10 ნიშნულიდან ზევით კარ-ფანჯრის ღიობების გადაადგილებულია სარკისებურად. "1-3" მონაკვეთში -0.10 ნიშნულის ქვევით კედელზე (ასევე სვეტებზე და რიგელზე) ბეტონის და აგურის ფაქტურის ნაცვლად მოწყობილია ბაზალტის ფილებით მოპირკეთება. "3-3" ღერძთან კიბის და ბაქნის ქვეშ არ არის მოწყობილი კედლები. შეცვლილია კარის ნახატი.

6-1 ფასადზე "6-5" მონაკვეთში ±0.00 ნიშნულის ქვევით კედელში მოწყობილია ღიობი. აღნიშნული ნიშნულის ქვევით "6-3" მონაკვეთში კედელი არ არის მოპირკეთებული ბაზალტის ფილებით. "3-3" ღერძთან კიბის და ბაქნის ქვეშ არ არის მოწყობილი კედლები. შეცვლილია კარის ნახატი.

A-C ფასადზე ±0.00 ნიშნულის ქვევით შეცვლილია კედლის მოპირკეთება. "A-B" მონაკვეთში კედელზე შემცირებულია ბაზალტის მოპირკეთების სიმაღლე. "B-C" მონაკვეთში აგურის და ბეტონის ნაცვლად მოწყობილია ბაზალტით მოპირკეთება. "A-B" მონაკვეთში არ არის მოწყობილი კიბე, ხოლო -3.00 ნიშნულზე "B-C" მონაკვეთში გაუქმებულია კარი.

რენდერის მიხედვით C-A ფასადი ბეტონის და აგურით მოპირკეთების ნაცვლად შელესილია.

შენობის შიგნით ბეტონის და ბლოკის კედლები არ არის ნაჩვენები განსხვავებული კონტურით. -3.00 ნიშნულზე (კედლებთან მიმართებაში) სვეტები დაამატებით გადმოწეულია წინ 10 სმ.-ით.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

+15.95 ნიშნულზე შეცვლილია აივნების გამწოვი ტიხრები და გაზრდილია სიმაღლეში. “4-4” ღერძზე არ არის მოწყობილი დაბალი გამყოფი ტიხარი. “6-6” და “C-C” ღერძების კვეთასთან მოწყობილია ჟალუზის ტიპის ტიხარი.

სახურავის ქვეშ განთავსებულია ლითონის კოჭები.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ჯეი2“-ს, დავით საგანელიძეს, ქ. თბილისში, საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი, კვარტალი V, ქუჩა სანდრო ეულის, N5/ქალაქი თბილისი, ქუჩა ჯიქია, N10-ში (ნაკვეთი N7/31) (საკ. კოდი 01.14.05.007.134) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/14227555-16 15.08.2014წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე **ვ. ჭუჭირიშვილი**